

ზოგადი უნარების ტესტის დავალებათა ნიმუშები

წაკითხულის გააზრება

ტექსტი

- I ერისა და ეთნოსის თეორიის ცნობილი მკვლევრის, **ენტონი სმითის** აზრით, ერის ცნობიერების დასავლური მოდელის ძირითადი მახასიათებლებია: ისტორიული ტერიტორია, სამშობლოსთან დაკავშირებული საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება, საერთო-საზოგადოებრივი მას-კულტურა, საერთო სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები, საერთო ეკონომიკა. ამ მოდელის მიხედვით, ერი უნდა ფლობდეს კომპაქტურ, კარგად განსაზღვრულ ტერიტორიას. ადამიანები და ტერიტორია, ასე ვთქვათ, უნდა „ეკუთვნოდნენ ერთმანეთს“ ისე, როგორც, მაგალითად, ჰოლანდიელების შემთხვევაში. ძველი ჰოლანდიელები თავიანთ თავს ზღვებთან ჭიდილში ჩამოყალიბებულ ხალხად აღიქვამდნენ; ჰოლანდიელებმა ზღვას „გამოსტაცეს“ მიწა, რომელსაც ფლობენ, და თავიანთ საკუთრებად აქციეს. ასეთი მიწა არ შეიძლება იყოს ნებისმიერ ადგილას, ის არის არა ჩვეულებრივი მიწის ფართობი, არამედ ისტორიული მიწა, რომელზედაც წინაპრების კვალია აღბეჭდილი. ის „სამშობლოა“ მაშინაც კი, როდესაც ის იქ დამკვიდრებული ხალხის თავდაპირველ საცხოვრისს არ წარმოადგენს, რისი მაგალითიც ანატოლიის ნახევარკუნძულზე მოსახლე თურქები არიან.
- II რაც შეეხება ტერიტორიული იდენტობის საკითხს ეთნიკურ ცნობიერებაში, შესაძლოა, ის ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არ იყოს, მაგრამ ტერიტორიული მიჯაჭვულობისა და ტერიტორიული სიმბოლოების მნიშვნელობა აქაც იკვეთება. ეთნიკურ ერთობაში, რაშიც კარგად ჩამოყალიბებული ეთნიკური თვითცნობიერება იგულისხმება, სმითის მიერ გამოყოფილია შემდეგი ატრიბუტები: კოლექტიური საკუთარი სახელი, საერთო მითოსი, ზიარი ისტორიული მეხსიერება, საერთო კულტურის ერთი ან მეტი ელემენტი, „განსაკუთრებულ“, მშობლიურ მიწა-წყალთან ასოცირება, სოლიდარობის შეგნება პოპულაციის მნიშვნელოვან ნაწილში. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ტერიტორიული იდენტობა აუცილებელ კომპონენტად, მაგრამ რიგით მეხუთე ადგილზე განიხილება, თუმცა მისი ადგილი და მნიშვნელობა სხვადასხვა ეთნიკური ერთობისათვის შესაძლოა, სხვადასხვაგვარი იყოს.
- III ეთნიკური ცნობიერებისა და ტერიტორიული იდენტობის საკითხის განხილვისას, სმითი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ამ უკანასკნელის

სუბიექტურ ასპექტებს. მისი აზრით, ეთნიკური იდენტიფიკაციისათვის უფრო მნიშვნელოვანია მითოლოგიური ასოციაციები, ვიდრე ამა თუ იმ ტერიტორიაზე ცხოვრება ან მისი ფლობა. ეთნიკური ერთობის წევრებს „სამშობლოს საკრალური ცენტრი“ თავის გარშემო აერთიანებს; ხოლო მათთვის, ვინც ხანგრძლივ გადასახლებაში იმყოფება, ის შთაგონების წყაროს წარმოადგენს. ამდენად, ეთნოსს, ერთიანი მითოსის განცდის საფუძველზე, ძლიერი ნოსტალგიისა და სულიერი კავშირის დამყარების მეშვეობით, შეუძლია იარსებოს ისეთ სიტუაციაშიც, როცა ის სამშობლოსაგან ხანგრძლივად გაყრილია. ასეთია მეტწილად ისეთი დიასპორული ერთობების ბედი, როგორებიც არიან ებრაელები და სომხები.

IV ტერიტორიული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი საუკუნეების მანძილზე გრძელდება. ამ დროს საზოგადოება ტოვებს თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების კვალს ტერიტორიაზე – აგებს ციხეებს, ეკლესიებს, ძეგლებს; ქმნის „ჩვენი“ ტერიტორიის მენტალურ ხატებს: წერს ისტორიას, გეოგრაფიას, თხზავს წმინდანთა და გმირთა ამბებს, რომლებიც მისი ტერიტორიის კონკრეტულ ნაწილებში ხდება და, ამდენად, ამ ტერიტორიებს სიმბოლური მნიშვნელობებით ავსებს. ამ ზემოქმედების შედეგად შექმნილი კულტურული ლანდშაფტი უკვე გარედან ზემოქმედებს საზოგადოებაზე და მისი ტერიტორიული იდენტობის ფორმირებას უწყობს ხელს.

1. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

- (ა) გამოკვეთოს სხვაობა ერისა და ეთნოსის ცნობიერებებს შორის.
- (ბ) წარმოაჩინოს ტერიტორიული იდენტობის როგორც ისტორიული, ისე მითოლოგიური ასპექტები.
- (გ) სხვადასხვა ეთნოსთა მაგალითზე წარმოაჩინოს ერისა და ეთნოსის ცნობიერების არსი.
- (დ) წარმოაჩინოს ტერიტორიული იდენტობის როლი როგორც ერის, ისე ეთნოსის ცნობიერების ჩამოყალიბებაში.
- (ე) გამოკვეთოს ერისა და ეთნოსის ცნობიერების მთავარი მახასიათებლები.

2. ავტორს ჰოლანდიელების მაგალითი მოჰყავს იმის საილუსტრაციოდ, რომ:

- (ა) ერის იდენტობის ერთ-ერთი მახასიათებელი საერთო მითები და ისტორიული მემსიერებაა.
- (ბ) ერის ცნობიერებაში ტერიტორიულ მიჯაჭვულობას განსაკუთრებული ადგილი უკავია.
- (გ) ერის დასავლურ მოდელებს შორის ჰოლანდიური განსაკუთრებით გამორჩეულია.
- (დ) ჰოლანდიელები, როგორც ერი, დიდი სირთულეების დაძლევის შედეგად ჩამოყალიბდა.
- (ე) ზღვაოსნობამ ჰოლანდიელთა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა.

3. ერისა და ეთნოსის ცნობიერების შესახებ გამოთქმული თვალსაზრისებიდან რომელია მართებული ტექსტის მიხედვით?

- (ა) სამშობლოს, როგორც „საკრალური ცენტრის“ იდეა ერთნაირად განმსაზღვრელია როგორც ერის, ისე ეთნოსის ცნობიერებისათვის.
- (ბ) ერისა და ეთნოსის ცნობიერებაში ისტორიული ტერიტორიის ფლობას ერთი და იგივე დატვირთვა აქვს.
- (გ) ეროვნულ ცნობიერებაზე, ეთნიკურისაგან განსხვავებით, უარყოფითად მოქმედებს სამშობლოს ხანგრძლივი დროით დატოვება.
- (დ) ერის ცნობიერებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მითოლოგიური წარმოდგენები, ხოლო ეთნიკურისათვის – ტერიტორიული სიმბოლოები.
- (ე) ერის ცნობიერებისათვის განმსაზღვრელია ისტორიული ტერიტორიის ფლობა, ხოლო ეთნიკურისათვის – ისტორიულ-მითოლოგიური მემსიერება.

4. ჩამოთვლილთაგან რომელი არ დასტურდება ტექსტში?

- (ა) საერთო მითების არსებობა ერის თვითცნობიერების ერთ-ერთი მახასიათებელია.
- (ბ) ეთნიკური ერთობის ცნობიერებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ტერიტორიის საკრალიზაციასა და მითოლოგიურ-სიმბოლურ გააზრებას.
- (გ) ერს ტერიტორიული იდენტობის განცდა მხოლოდ იმ ადგილის მიმართ შეიძლება ჰქონდეს, რომელიც მის თავდაპირველ საცხოვრისს წარმოადგენს.
- (დ) მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს ზიარი ისტორიული მეხსიერება აერთიანებს.
- (ე) კოლექტიური საკუთარი სახელი ეთნიკური თვითცნობიერების შენარჩუნების მნიშვნელოვანი პირობაა.

5. ბოლო აბზაცის ძირითადი მიზანია:

- (ა) ადამიანისა და კულტურული ლანდშაფტის ურთიერთზემოქმედების ხაზგასმა ტერიტორიული იდენტობის ფორმირებაში.
- (ბ) საზოგადოების საქმიანობის, როგორც ტერიტორიული იდენტობის ფორმირების აუცილებელი წინაპირობის აღწერა.
- (გ) ტერიტორიული იდენტობის ჩამოყალიბებისას, ტერიტორიის სიმბოლური მნიშვნელობებით შევსების აუცილებლობის წარმოჩენა.
- (დ) ტერიტორიული იდენტობის ფორმირებაში კულტურული ლანდშაფტის ჩამოყალიბების პროცესის ხანგრძლივობის ხაზგასმა.
- (ე) ტერიტორიული იდენტობის ფორმირებაში მენტალური ხატების მნიშვნელობის განსაზღვრა.

6. ერთგან სმითი წერს: „სამშობლო არის „ჩვენი“ წინაპრების საქმეებით მონიშნული და განწმენდილი ტერიტორია.“

ტექსტის რომელ აზრაცშია ხაზგასმით საუბარი ამ საკითხზე?

- (ა) მხოლოდ I-ში;
- (ბ) მხოლოდ II-ში;
- (გ) მხოლოდ I-სა და II-ში;
- (დ) მხოლოდ I-სა და IV-ში;
- (ე) მხოლოდ I, II-სა და III-ში.

7. ტექსტში:

- (ა) ჩამოყალიბებულია ორი თვალსაზრისი და წარმოჩენილია ერთ-ერთის უპირატესობა მეორესთან შედარებით.
- (ბ) წარმოდგენილია ავტორის კრიტიკული დამოკიდებულება განხილული თვალსაზრისის მიმართ.
- (გ) წარმოდგენილია თეორია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით და განხილულია მისი სხვადასხვა ასპექტი.
- (დ) ჩამოყალიბებულია ერთ პრობლემასთან დაკავშირებული განსხვავებული თეორიები.
- (ე) ჩამოყალიბებულია თეორია და წარმოჩენილია მისი მნიშვნელობა მოცემული საკითხის სამომავლო კვლევისათვის.

ლოგიკური მსჯელობა

ამოცანა 1.

მოცემულია წინადადება:

„ტყუილია, რომ მიმდინარე ოლიმპიადაზე ვერცერთმა ჭოკით მხტომელმა ვერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი“.

ჩამოთვლილთაგან რომელია ამ წინადადების ტოლფასი?

- (ა) მიმდინარე ოლიმპიადაზე ყველა ჭოკით მხტომელმა გააუმჯობესა პირადი რეკორდი.
- (ბ) მიმდინარე ოლიმპიადაზე ზოგმა ჭოკით მხტომელმა გააუმჯობესა წინა ოლიმპიადაზე მიღწეული საუკეთესო შედეგი.
- (გ) არსებობს ჭოკით მხტომელი, რომელიც მიმდინარე ოლიმპიადის მონაწილეებს შორის ყველაზე მაღლა ახტა.
- (დ) მიმდინარე ოლიმპიადაზე არაერთმა ჭოკით მხტომელმა დაამყარა მსოფლიო რეკორდი.
- (ე) მიმდინარე ოლიმპიადაზე ერთმა ჭოკით მხტომელმა მაინც გააუმჯობესა არსებული მსოფლიო რეკორდი.

ამოცანა 2.

მოცემულია:

- ყველა სათნო ადამიანი გულმოწყალეა.
- არსებობს გულმოწყალე და განათლებული ადამიანი.
- არცერთი გულმოწყალე ადამიანი არ არის დაუნდობელი.

ჩამოთვლილთაგან:

- I. არსებობს განათლებული ადამიანი, რომელიც არ არის დაუნდობელი.
- II. არსებობს სათნო ადამიანი, რომელიც არ არის განათლებული.
- III. არც ერთი სათნო ადამიანი არ არის დაუნდობელი.

რომელი გამომდინარეობს ამ მოცემულობიდან?

- (ა) მხოლოდ III;
- (ბ) მხოლოდ I და II;
- (გ) მხოლოდ I და III;
- (დ) მხოლოდ II და III;
- (ე) სამივე.

ამოცანა 3.

ერთ-ერთ ქვეყანაში ეკოლოგები მიიჩნევდნენ, რომ ტორფის მოპოვებას ჭაობიან მიდამოში შეიძლებოდა გამოეწვია ეკოლოგიური ბალანსის დარღვევა. ამ შემთხვევაში ქვეყნის წყალმომარაგების სისტემა დაბინძურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა. თუმცა ცნობილია, რომ ირლანდიაში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობს ტორფის მოპოვება, რაც წყალმომარაგების სისტემის დაბინძურებას არ იწვევს. აქედან გამომდინარე, ეკოლოგებმა დაასკვნეს, რომ ტორფის მოპოვება უსაფრთხო იქნება ქვეყნის წყალმომარაგების სისტემისათვის.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი განამტკიცებს ეკოლოგების დასკვნას?

- (ა) საზოგადოდ, ყველანაირი მიდამოს ეკოლოგიური ბალანსი ასეულობით წლების განმავლობაში ნელ-ნელა, მაგრამ მნიშვნელოვნად იცვლება; ხანდახან ფლორის ან ფაუნის რომელიმე სახეობის სასარგებლოდაც.
- (ბ) ირლანდიის ტორფის საბადოების თავდაპირველი ეკოლოგია თითქმის იდენტურია ამ ქვეყნის ჭაობიანი მიდამოს ეკოლოგიისა.
- (გ) შესაძლოა, მომავალში სხვა სამრეწველო აქტივობებმაც იმოქმედოს უარყოფითად ამ ქვეყნის წყალმომარაგების სისტემაზე.
- (დ) ამ ქვეყანაში ტორფის მარაგი ბევრად მეტია, ვიდრე ტორფის მომპოვებელ სხვა ქვეყნებში.
- (ე) ირლანდიაში ტორფის მრეწველობამ სათბობის უმეტესი ნაწილის ჩანაცვლება შეძლო.

ამოცანები 4-7 შემდეგ პირობას ეყრდნობა

გარკვეული ტიპის ამოცანების გადასაწყვეტად მასწავლებელმა გამოიყენა მცირე ჯგუფებში მუშაობის მეთოდი, რისთვისაც მოსწავლეები 3 მცირე ჯგუფში გაანაწილა. კლასში სულ 5 გოგონაა – თამრიკო, ნინო, ელენე, ია, ქეთი – და 4 ბიჭი – აჩიკო, მიშა, სოსო, დათო.

ცნობილია, რომ:

- არცერთ ჯგუფში ბიჭების რაოდენობა არ აღემატება გოგონების რაოდენობას.
- თითოეულ ჯგუფში 2 მოსწავლე მაინცაა.
- არცერთ ჯგუფში არ არის 5 მოსწავლე.
- აჩიკო და თამრიკო ერთ ჯგუფში არიან.
- ნინო და ელენე ერთ ჯგუფში არიან.
- ია და ქეთი სხვადასხვა ჯგუფში არიან.
- იმ ჯგუფში, რომელშიც დათოა, ყველაზე ნაკლები მოსწავლეა.

ამოცანა 4

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება წარმოადგენდეს ერთი ჯგუფის წევრების სრულ სიას?

- (ა) დათო, ნინო;
- (ბ) თამრიკო, აჩიკო, მიშა;
- (გ) ია, ქეთი, მიშა, სოსო;
- (დ) აჩიკო, მიშა, თამრიკო, ია;
- (ე) თამრიკო, ნინო, მიშა, სოსო.

ამოცანა 5

თუ მიშა და სოსო ერთ ჯგუფში არიან, ჩამოთვლილთაგან კიდევ რომელი იქნება აუცილებლად მათთან ერთად?

- (ა) ნინო;
- (ბ) თამრიკო;
- (გ) აჩიკო;
- (დ) ია;
- (ე) ქეთი.

ამოცანა 6

ჩამოთვლილთაგან ვისთან ერთად ვერ იქნება ჯგუფში აჩივო?

- (ა) მიშასთან;
- (ბ) სოსოსთან;
- (გ) ნინოსთან;
- (დ) იასთან;
- (ე) ქეთისთან.

ამოცანა 7

თუ მიშა ჯგუფში თამრიკოსთან ერთადაა, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელთან ერთად იქნება ჯგუფში ნინო?

- (ა) ქეთისთან;
- (ბ) დათოსთან;
- (გ) თამრიკოსთან;
- (დ) იასთან;
- (ე) სოსოსთან.

რაოდენობრივი მსჯელობა

ამოცანა 1

რა ციფრები უნდა ჩავსვათ ჩანაწერში

$$523*7^*$$

ვარსკვლავების ნაცვლად, რომ მიღებული რიცხვი უნაშთოდ იყოფოდეს 5-ზე და იყოს უდიდესი ასეთ რიცხვებს შორის?

- (ა) 1 და 0
- (ბ) 9 და 0
- (გ) 0 და 5
- (დ) 9 და 9
- (ე) 9 და 5

ამოცანა 2

საქველმოქმედო აქციაში, რომელიც ავადმყოფი გოგონას დახმარების მიზნით იმართება, შესაძლებელია ერთი სატელეფონო ზარით 80 თეთრის გადარიცხვა. გოგონას მკურნალობისათვის აუცილებელი თანხა 2000 ევროს შეადგენს. სატელეფონო ზარების რა რაოდენობაა აუცილებელი ამ თანხის შესაგროვებლად, თუ 100 ევროს შესაძენად 240 ლარია საჭირო?

- (ა) 2000 (ბ) 2400 (გ) 3000 (დ) 4500 (ე) 6000

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ამოცანა 3







ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომლის მხოლოდ ნაწილია შევსებული. ეს ცხრილი აღწერს მეცნიერთა ერთი ჯგუფის მიერ მიღებული გრანტის ბიუჯეტს (ლარებში). ამ ცხრილში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განსაზღვრეთ, რამდენი ლარია განკუთვნილი კაპიტალური დანახარჯებისათვის II წელს.

	I წელი	II წელი	სულ
შრომის ანაზღაურება	32 000		
კაპიტალური დანახარჯები			18 000
სულ	44 000		90 000

- (ა) 6000 (ბ) 10000 (გ) 14000 (დ) 18000 (ე) 50000

ამოცანა 4

ჰორიზონტალურ სადგამზე მოთავსებული ჭურჭლის ქვედა ნაწილი წარმოადგენს ცილინდრს, რომლის ფუძის დიამეტრიც და სიმაღლეც 20 სმ-ია. შემდეგ ჭურჭელი გადადის 20 სმ სიმაღლისა და 10 სმ დიამეტრის ფუძის მქონე ცილინდრში, ბოლოს კი მთავრდება 30 სმ დიამეტრის მქონე ფუძისა და 20 სმ სიმაღლის ცილინდრით. ჭურჭელს ავსებენ წყლით, რომელიც მუდმივი სიჩქარით მოედინება ონკანიდან. ქვემოთ მოცემული გრაფიკებიდან რომელი შეიძლება ასახავდეს ჭურჭელში წყლის დონის დამოკიდებულებას დროზე?



ამოცანა 5

მიწის მზომელებმა მართკუთხედის ფორმის მიწის ნაკვეთზე ლითონის ღეროების ჩარჭობით ორი წერტილი მონიშნეს.

მოცემულია ორი პირობა:

- I. ამ მიწის ნაკვეთის სიგანე 5 მეტრია.
- II. ამ მიწის ნაკვეთის ფართობი 60 მ²-ია.

იმისათვის, რომ მონიშნულ წერტილებს შორის მანძილი ნაკლები იყოს 14 მეტრზე,

- (ა) საკმარისია I პირობა, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.
- (ბ) საკმარისია II პირობა, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.
- (გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე არც ერთი არ არის საკმარისი.
- (დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე.
- (ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, საჭიროა დამატებითი პირობები.

ამოცანა 6

სამმა – I, II და III – ქარხანამ ერთი თვის განმავლობაში ერთად 40 ტონა პროდუქცია გამოუშვა. ცნობილია, რომ I-მა ქარხანამ გამოუშვა უფრო მეტი პროდუქცია, ვიდრე II-მ, ხოლო II-მ – უფრო მეტი, ვიდრე III-მ.

მოცემულია წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია ორი ფრაგმენტი:

„თუ -----, მაშინ -----“.

ქვემოთ მოცემული სამი (1), (2) და (3) ფრაგმენტიდან აარჩიეთ ორი და ჩასვით ისინი გამოტოვებულ ადგილებში ისე, რომ მიღებული წინადადება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს.

- (1) I ქარხნის მიერ გამოშვებულია 16 ტონაზე მეტი პროდუქცია;
 - (2) II ქარხნის მიერ გამოშვებულია 13 ტონაზე მეტი პროდუქცია;
 - (3) III ქარხნის მიერ გამოშვებულია 12 ტონაზე ნაკლები პროდუქცია.
-
- (ა) თუ (1), მაშინ (2)
 - (ბ) თუ (2), მაშინ (1)
 - (გ) თუ (1), მაშინ (3)
 - (დ) თუ (3), მაშინ (1)
 - (ე) თუ (2), მაშინ (3)

ამოცანა 7

სწორხაზოვანი საავტომობილო გზის გასწვრივ შემდეგი თანამიმდევრობით განლაგებულია ხუთი პუნქტი: A, B, C, D, E . ამ გზაზე A პუნქტიდან E პუნქტისაკენ გავიდა ავტობუსი, ხოლო იმავე დროს E პუნქტიდან A პუნქტისაკენ გავიდა მსუბუქი ავტომობილი. ერთმანეთთან შეხვედრამდე ორივე მოძრაობდა შეუჩერებლად, მუდმივი სიჩქარეებით.

ქვემოთ მოცემული ოთხი პირობიდან რომელი ორის ცოდნაა საკმარისი იმის დასადგენად, თუ რომელ ორ მეზობელ პუნქტს შორის შეხვდნენ ავტობუსი და მსუბუქი ავტომობილი ერთმანეთს?

- I. მანძილი A პუნქტიდან E პუნქტამდე 140 კმ-ია.
- II. მანძილი ყოველ ორ მეზობელ პუნქტს შორის 35 კმ-ია.
- III. ამ გზაზე მოძრაობისას ავტობუსის სიჩქარის სიდიდე ისე შეეფარდება მსუბუქი ავტომობილის სიჩქარის სიდიდეს, როგორც 3 : 4.
- IV. ავტობუსი და მსუბუქი ავტომობილი ერთმანეთს გამოსვლიდან ერთ საათში შეხვდნენ.

- (ა) I და II (ბ) I და III (გ) I და IV (დ) II და III (ე) III და IV

სწორი პასუხები

წაკითხულის გააზრება:

1. დ
2. ბ
3. ე
4. გ
5. ა
6. დ
7. გ

ლოგიკური მსჯელობა:

1. ე
2. გ
3. ბ
4. დ
5. ა
6. გ
7. ე

რაოდენობრივი მსჯელობა:

1. ე
2. ე
3. ა
4. დ
5. გ
6. გ
7. დ

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გისურვებთ
წარმატებას!